ლერი მჭედლიშვილი
(1936-2013)

ორი რამ არის, სულს რომ მუდამ გაოცებითა და გაოგნებით აღმივსებს, რაც უფრო ძლიერ და ხშირად მიეპყრობა მათკენ გონების თვალი: ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ჩემს ზემოთ და ზნეობრივი კანონი ჩემში.

იმანუილ კანტი

2013 წელს, თებერვლის დასაწყისში, საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებას გამოაკლდა გამორჩეული პიროვნება, ცნობილი ლოგიკოსი ლერი მჭედლიშვილი. ძნელია სიტყვების შერჩევა ამ სრულიად განსაკუთრებული ადამიანისა და მისი ღვაწლის სათანადოდ წარმოსაჩენად. საამისოდ ალბათ ჯერ არც დროა, რადგან მისი წასვლით ჯერ კიდევ მეტისმეტად გვტკივა გული, და არც ადგილი ამ ჟურნალის ფურცლებზე. მოდით, უბრალოდ, ერთად გადავხედოთ მის მიერ განვლილ შემოქმედებით გზას, რომლის ბოლო მონაკვეთზე ჩვენც გვხვდა წილად ბედნიერება მისი თანამგზავრობისა.

ლერი მჭედლიშვილი დაიბადა 1936 წელს, ქალაქ თბილისში, თუმცა ომის წლები, დედასთან ერთად, თელავის რაიონში, სოფელ კისისხევში გაატარა. კახეთისადმი მის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას მალევე შეამჩნევდით მასთან დაახლოებისას. ერთი მხრივ ეს იგრძნობოდა იმ არაჩვეულებრივ სითბოში, ხმაში რომ ჩაეღვრებოდა კახეთზე საუბრისას, მეორე მხრივ კი მისთვის ჩვეულ ხალისიან თვითირონიაში, როდესაც კახელებზე მორიგ ანეკდოტს გაიხსენებდა. კახური ხასიათის საუკეთესო თვისებები - იუმორი და შრომისმოყვარეობა – ჩინებულად იყო მასში შეზავებული. ამ დამოკიდებულების გამოვლინებად შეიძლება მივიჩნიოთ 2000-2005 წლებში მისი ყოველკვირეული სალექციო ვიზიტები თბილისიდან სიღნაღის უნივერსიტეტში.

1946 წლიდან ლერი მჭედლიშვილი იზრდებოდა და სწავლობდა თბილისში, ვაჟთა მე-19 სკოლაში, სადაც მისი კლასელი იყო მიხეილ ბეჟანიშვილი, მომავალში ასევე ცნობილი ლოგიკოსი - ბატონი ლერის განუყრელი კოლეგა და უახლოესი მეგობარი. მათ ერთად გადაწ-

ყვიტეს ფილოსოფიისა და შემდეგ ფორმალური ლოგიკის სფეროში მოღვაწეობა. ეს არჩევანი, როგორც თავად ბატონი ლერი იხსენებდა, „ბევრმა პასუხგაუცემელმა შეკითხვამ“ განაპირობა. ეს 1953-1959 წლებია, როდესაც საბჭოთა რეპრესიის მანქანის მარწუხები თითქმის ყველას და ყველაფერს შეეხო. აქედან მოდიოდა სწორედ ის „პასუხგაუცემელი შეკითხვებიც“, ბატონი ლერი რომ იხსენებდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კედლებში ამ დროს მოღვაწეობდა ორი დიდი ქართველი ფილოსოფოსი - სავლე წერეთელი და კოტე ბაქრაძე. კოტე ბაქრაძე იმ დროისათვის უკვე ცნობილი იყო, როგორც საბჭოთა იდეოლოგიასთან, ისევე როგორც ფორმალური ლოგიკის საწინააღმდეგოდ გაბატონებულ შეხედულებებთან მკვეთრად დაპირისპირებული, იშვიათი ინტელექტუალური გამბედაობის მქონე მოაზროვნე. მიუხედავად მის მიერ მტრულად განწყობილი რეჟიმისა, კოტე ბაქრაძემ მოახერხა ფორმალური და დიალექტიკური ლოგიკის იდეოლოგიური დაპირისპირების ინტელექტუალურ ჭრილში გადატანა, არგუმენტირებული მსჯელობისა და ინტელექტუალური კამათის ველის დაძაბულობის შექმნა. სწორედ ამ ველში მოხვდნენ ლერი მჭედლიშვილი და მიხეილ ბეჟანიშვილი. თავისუფალი აზროვნების ეს პატარა ოაზისი, სუფთა ჰაერის ეს ნაკადი ჭაობის ოხშივრით დამძიმებულ ავტორიტარულ „ფიქრის გულაგში“ გახდა ბატონი ლერის მტკიცე სამკვიდროც. თავისი ცხოვრების უკანასკნელ დღემდე ის ემსახურებოდა ჭეშმარიტებასა და სინდისს, იმისდა მიუხედავად, რა დაბრკოლებებს უქმნიდა სისტემა და სიცრუის მძლავრი მანქანა. უკვე ჩამოყალიბებულ მეცნიერს, მას პირისპირ მოუწია სისტემასთან შეჭიდება 1971 წელს, თავისი დისერტაციის დაცვის დღეს, როდესაც საბჭოთა რეჟიმს აყოლილმა, თავისუფალი მეცნიერული აზრის წინააღმდეგ განწყობილმა ადამიანებმა მისი დისერტაციის „ჩაგდება“ მოინდომეს. ბატონი ლერისა და მისი თანამოაზრეების ჭიდილი, როგორც თავად ბატონი ლერი უწოდებს, „სამეცნიერო ტოტალიტარიზმთან“, 8 საათი გაგრძელდა და თავისუფალი აზრის, ჭეშმარიტი მეცნიერების გამარჯვებით დასრულდა. უფროს და უმცროს კოლეგებთან ერთად (მათ შორის: ნამდვილი „გულაგიდან“ დაბრუნებული ზურაბ მიქელაძე, ზურაბ კაკაბაძე, მიხეილ ბეჟანიშვილი, თამაზ ბუაჩიძე) მან მოახერხა შეენარჩუნებინა ინტელექტუალური თავისუფლება და მაგალითი მიეცა სტუდენტების მთელი თაობებისათვის იმისა, თუ როგორ შეიძლებოდა უკიდურესად რეპრესიულ და შებოჭილ პირობებში სილაღის, თავისუფლებისა და აზროვნების სინათლის შენარჩუნება.

ლერი მჭედლიშვილის მეცნიერული ინტერესი მოიცავდა საბჭოთა კავშირში იმ დროისათვის არაპოპულარულ ფორმალური ლოგიკის

სფეროს. სავარაუდოდ, ამ ინტერესს სათავე დაუდო მის მიერ მეოცე საუკუნის დიდი ლოგიკოსების, იან ლუკასევიჩის, ალფრედ ტარსკის, დავიდ ჰილბერტის, ალონზო ჩერჩის, ვილჰელმ აკერმანის, კურტ გიოდელისა და გეორგ ჰენრიკ ფონ ვრიგტის ნაშრომების გაცნობამ. მიხეილ ბეჟანიშვილთან ერთად ბატონმა ლერიმ თარგმნა ტარსკის ცნობილი მონოგრაფია „ლოგიკისა და დედუქციურ მეცნიერებათა მეთოდოლოგიის შესავალი". საერთოდ, მეოცე საუკუნის 70-იან წლებში ფორმალური ლოგიკის მიმართულებამ სწრაფი და მტკიცე წინსვლა განიცადა საქართველოში. ერთი მხრივ, ეს იყო კოტე ბაქრაძის ფილოსოფიური სკოლის, მათ შორის ახალგაზრდა მეცნიერების – ლერი მჭედლიშვილისა და მიხეილ ბეჟანიშვილის დამსახურება, მეორე მხრივ კი, ლეო ესაკიას მათემატიკური ლოგიკის სკოლის დამსახურება. აღსანიშნავია ასევე ლევან გოკიელის და შალვა ფხაკაძის წვლილიც. ამ წლებში კოტე ბაქრაძის მიერ დაფუძნებულ ფილოსოფიურ სკოლას სათავეში ჩაუდგა გადასახლებიდან დაბრუნებული ზურაბ მიქელაძე, რომლის სემინარებმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა საქართველოში ფილოსოფიური ლოგიკის განვითარების საქმეში. ზურაბ მიქელაძის სემინარების აქტიური მონაწილე იყო ლერი მჭედლიშვილიც. ამ და მომდევნო წლებში საქართველოში იყვნენ ჩამოსული ალფრედ ტარსკი (1966 წელს ლეო ესაკიას ექსპრომტ-მოპატიჟებით მოსკოვის კონგრესიდან), ფონ ვრიგტი, სეგერბერგი. ეწყობოდა საერთაშორისო მასშტაბის მნიშვნელოვანი კონფერენციები სწორედ ბატონი ლერის აქტიური მონაწილეობით (მეოთხე საბჭოურ-ფინური კოლოკვიუმი 1985 წელს თელავში, არისტოტელეს ლოგიკისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმი 1983 წელს თბილისში). ლერი მჭედლიშვილის უშუალო ინტერესს წარმოადგენდა მოდალური ლოგიკა, შესაძლო სამყაროთა სემანტიკა და არისტოტელეს სილოგისტიკა. მან, სხვა საკითხებთან ერთად, გამოიკვლია არისტოტელეს „პირველი ანალიტიკის" ერთ-ერთი ყველაზე რთული მონაკვეთი აპოდიქტიკური (მოდალური) სილოგისტიკის შესახებ და ორიგინალური, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამ სფეროში. მის ახლებურ ინტერპრეტაციას ჯეროვანი ადგილი უჭირავს ლუკასევიჩისა და მაკკოლის ინტერპრეტაციების გვერდით. მისი მეცნიერული პუბლიკაციები ქართული ლოგიკური სკოლის მნიშვნელოვანი მონაპოვარია მსოფლიო მეცნიერულ არენაზე, რომელიც ჯერ კიდევ ელის შესწავლასა და შეფასებას.

ფასდაუდებელია ლერი მჭედლიშვილის წვლილი განმანათლებლობის სფეროში. წლების განმავლობაში ბატონი ლერი მოღვაწეობდა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ლოგიკის კათედრაზე. იყო

ამ კათედრის გამგე. მისი მეგობრული და თბილი დამოკიდებულება სტუდენტებთან და კოლეგებთან, იმ უდრეკ სიმტკიცესთან ერთად, რომელსაც ის იჩენდა პრინციპულ საკითხებში; მისი ხალასი იუმორი და ღრმა ცოდნა განმსაზღვრელ ლეიტმოტივად გასდევდა ამ კათედრის მოღვაწეობას თითქმის 40 წლის განმავლობაში. ბატონმა ლერიმ, თავის მოსწავლესა და კოლეგასთან, ნუგზარ ივანიძესთან ერთად, შექმნა ლოგიკის სახელმძღვანელო ქართულ ენაზე, რომელზეც სტუდენტების მრავალი თაობა აღიზარდა. ამ სახელმძღვანელოს მუდმივი დახვეწა მისი ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი იყო სიცოცხლის ბოლომდე.

ბოლო წლებში, მისთვის ჩვეული ენერგიულობით, ბატონი ლერი ჩაერთო ახალი საგანმანათლებლო კერის შექმნის საქმეში და ბუნებრივად ითავა კიდეც იგი. სწორედ აქ გადაიკვეთა ჩვენი, ახალბედა მასწავლებლებისა და მისი პროფესიული გზა. სამი წლის წინ ბატონი ლერი თავისუფალ უნივერსიტეტში მიიწვიეს ჯერ კიდევ იდეაში არსებული ფაკულტეტის ანუ სკოლის დეკანის თანამდებობაზე. საქმე ის გახლავთ, რომ სკოლის ფილოსოფია, რომელსაც შემდგომში დაერქვა და ახლაც ჰქვია, „მართვისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების სკოლა“ დაეფუძნა სწორედ იმ გამოცდილებასა და მსოფლმხედველობას, რომელიც ჰქონდა ბატონ ლერის და მის ახალგაზრდა კოლეგებს - რწმენას ლიბერალური და ჰუმანიტარული განათლების ღირებულებაში.

ნელ-ნელა დაიწყო ჯერ სკოლის კონცეფციის შემუშავება და შემდეგ უკვე პრაქტიკული მშენებლობა, რასაც მოყვა ის, რომ პირველსავე მიღებისას მართვის სკოლა ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული სპეციალობა გახდა და მოიზიდა საქართველოს ყველაზე არაორდინარული ახალგაზრდები – სტუდენტები, რომელთაც ისევე, როგორც ბატონ ლერის, არ ებადებათ კითხვა, თუ რა საჭიროა მართვისთვის ფილოსოფია, ლიტერატურა, ხელოვნება და თუნდაც ევკლიდეს გეომეტრია. ეს სტუდენტები არ მოსულან ამ არც თუ იაფ სპეციალობაზე შემდგომში ფულის იოლად შოვნის ხათრით. ისინი მოვიდნენ იმ იშვიათი რწმენით, რომ კარგი განათლება გრძელვადიანი ინვესტიციაა და არა მხოლოდ მატერიალური. ბატონ ლერის სჯეროდა მეცნიერებისა მეცნიერებისთვის, ლიტერატურის თავისთავადი ღირებულებისა და ჩვენს სტუდენტებსაც გაუღვივა ეს რწმენა.

მიუხედავად იმისა, რომ ბატონ ლერის მთელი საქართველოს შემოვლა უწევდა ახალდაარსებული სკოლის მომავალ სტუდენტებთან შესახვედრად და, როგორც თვითონ ამბობდა, ერთი წელი ერთი წიგნი ჰქონდა გადაშლილი და ვერ დაემთავრებინა, ის მაინც ტრადიციულად

კითხულობდა ლოგიკის კურსს და ყოველდღიურად მონაწილეობდა უნივერსიტეტის ცხოვრებაში. ბოლო ერთი წელი ჩვენ მოგვიწია ძალიან პატარა სივრცეში ერთად მუშაობა. დეკანის, სკოლის კოორდინატორისა და ჩვენი მაგიდები გვერდი-გვერდ იყო და უნივერსიტეტში დიდი ხნით დარჩენასაც ჰქონდა მოტივაცია, რადგან ყოველთვის იყო ხოლმე სასაუბრო თემა.

ამიტომ, ის სამი წელი, რომელიც ბატონმა ლერიმ ახალდაარსებულ უნივერსიტეტში გაატარა, ალბათ მართლა შეჯამება გამოვიდა მისი მთელი ცხოვრებისა, გამოცდილებისა როგორც აკადემიურის, ისე განათლების მართვაში. მისთვის ჩვეული ტაქტითა და ახალგაზრდებისადმი პატივისცემის განუყრელი განწყობით, მას არასოდეს დასცდენია ცუდი სტუდენტის შესახებ და ყოველთვის ძალიან ამაყობდა მათით.

ღრმად გვწამს, ლერი მჭედლიშვილს სიკვდილმა ვერაფერი დააკლო. იგი ყოველთვის ძალიან ლაღად ლაპარაკობდა ხოლმე სიკვდილზე და როგორც ნამდვილი ეგზისტენციალისტისთვის, სიკვდილი მისთვის ერთი ჩვეულებრივი შემთხვევა იყო ცხოვრების სხვა შემთხვევითობებს შორის. ამიტომ ბატონ ლერის არაფერი არ დაკლებია, უბრალოდ ძალიან ძნელია იჯდე და მუშაობდე მისი მაგიდის გვერდით და თვალი არ გაგირბოდეს იქეთ, არ გინდოდეს მიხვიდე და რამე ჰკითხო. ხედავდე მის ნივთებს, რომლებიც ზუსტად ისევე აწყვია და არავის თავშიც არ მოსდის მათი ალაგება. ძნელია ამას შეეგუო, და კიდევ უფრო ძნელია იმისი გააზრება, რომ აღარავინაა იქ, ვისთანაც ლექციაზე შესვლის წინ ჩამოჯდები ათი წუთით და იკითხავ, რა ჯობია და როგორ, და ვეღარც ანეკდოტურ პასუხს მიიღებ, რომელიც გარწმუნებს, რომ სინამდვილეში ყველაფერი ბევრად ადვილია, ვიდრე ჩანს. გაბრაზება და შიში შეგიპყრობს, რომ ჯერ ძალიან ადრე იყო, რომ კიდევ გქონდა კითხვები, რომ რჩევა გჭირდება და დახმარება და რა დროს ადგომა და წასვლა იყო. ძნელია, როცა ქრება რეფერირების აბსოლუტური წერტილი. თუმცა ქრება მხოლოდ თვალსაწიერიდან - რჩება გულში.

დასანანია, რომ ბატონ ლერის დასვენება არ დასცალდა. გარდაცვალებამდე ამბობდა, რომ თებერვლიდან თანამდებობიდან გადადგებოდა და სულ გვიმეორებდა ამას. ჩვენ კი ერთხმად ვეხვეწებოდით, დარჩენილიყო. თუმცა ალბათ ესეც ლოგიკურია, ბატონი ლერის მსგავსი ადამიანებისთვის დასვენება ალბათ მხოლოდ ერთხელ ხდება ცხოვრებაში. ყველანი ვეწინააღმდეგებოდით მის წასვლას სამსახურიდან, თუმცა, როგორც ჩვენმა კოლეგამ ერთხელ სიმწრით შენიშნა, ლერიმ მაინც თავისი გაიტანა.

ლერი უბრალოდ ძალიან დაგვაკლდება, როგორც ცოცხალი ადა-

მიანი, თორემ ის, რომ ჩვენ ვართ, გვახსოვს, ვმუშაობთ, მისი ამდენი სტუდენტი ვხვდებით ერთმანეთს, ვამბობთ, ლერი ასე იტყოდაო, ან ასე არჩევდაო, რომ ისევ ვაგრძელებთ ფილოსოფიის კეთებას, რომ ვიქნებით მასსავით ლაღები, სანამ ჩვენს უნივერსიტეტში სიტყვას ვიტყვით ლიტერატურაზე, სამართლიანობაზე, ისევ ვისხდებით იმავე დიდ ოთახში, გაგვეცინება ლერის ხუმრობაზე, მანამ, სანამ, როგორც ირანელები იტყვიან, მისი ადგილი თავისუფალი დარჩება, ბატონი ლერი მაინც იქვე იქნება, ამიტომ ჩვენც მშვიდად გავაგრძელოთ ჩვენი და მისი საქმე.

ბატონი ლერის ერთ-ერთი გატაცება იყო ქართული ლოგიკის ისტორიის საფუძვლიანი კვლევა. მიხეილ ბეჟანიშვილთან ერთად მან ამ კვლევის საწყისები ბროშურადაც გამოსცა. მისთვის ჩვეული გულმოდგინებით გამოიკვლია სოლომონ დოდაშვილის ტრაგიკული ცხოვრება. იკვლევდა ეფრემ მცირისა და იოანე პეტრიწის ნაშრომებს. აქვს ნარკვევი კოტე ბაქრაძეზე და მის მოღვაწეობაზე. დღეს მან თავის დაუმთავრებელ მატიანეში ქართული ლოგიკისა უკვე დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი პეტრიწის, ეფრემ მცირეს, სოლომონ დოდაშვილის, შალვა ნუცუბიძის, კოტე ბაქრაძის, ლეო ესაკიას გვერდით.

ნიკოლოზ ალექსიძე, დავით გაბელაია

OBITUARIES

The Editorial Board of *Kadmos* express their deepest sorrow over the passing of their distinguished colleagues:

Kakha Katsitadze (1959-2012): Professor at Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Doctor of Philosophy, a researcher with broad interests, a military theorist and expert.

Leri Mchedlishvili (1936-2013): Philosopher, Professor of Formal Logic, Dean of the School of Governance and of Social Sciences in Free University (Tbilisi).